



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011710672655020

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

202124

10 / ივლისი / 2020 წ.

გ ა დ ა ნ წ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარეების ჩაბმის შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრების ნომრები: 196219/17 (26.06.2020) და 201045/17 (30.06.2020);

ადმინისტრაციული საჩივრების წარმომდგენი პირი: ბესარიონ მამუკელაშვილის (პირადი ნომერი 61001006094) წარმომადგენელი შოთა ჯიბლაძე (პირადი ნომერი 61003001504).

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის აჭარის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „აჭარის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებელი გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020007843-16 (28.05.2020) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრების წარმომდგენი პირის მოთხოვნა: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020007843-21 (16.05.2020) გადაწყვეტილების გაუქმება და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, დავით კლდიაშვილის ქუჩა, №20-22.

№ 882020007843 სარეგისტრაციო განცხადებით მოთხოვნილია უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი 05.22.10.004.01.501) რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია. კერძოდ, წარდგენილი შიდა აზომვითი ნახაზების და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, 106.40 კვ.მ კომერციულ ფართზე, 26.41 კვ.მ დამხმარე ფართსა და 85.82 კვ.მ ანტრესოლზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის დანაწესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6¹ პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დააბუსტოს, შეცვალოს, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან ბათილად ცნოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებული მცდარი ან ურთიერთშეუსაბამო მონაცემები და უზრუნველყოს ამ მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლისა და 195-ე მუხლის საფუძველზე,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარეებად ჩაბმულ იქნენ: ტარიელ შარაძე (პირადი ნომერი 61010001944), გეორგი კაშია (პირადი ნომერი 61001012867), ხათუნა მიქელაძე (პირადი ნომერი 61006017477) და ირაკლი ჩიქობავა (პირადი ნომერი 61001024509).

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმულ დაინტერესებულ მხარეებს გადაეგზავნოთ ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები, ასევე, ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

3. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით;


4. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე საჯარო რეესტრსა (მის.: ქ. თბილისი, თბილისის იუსტიციის სახლი, სანაპიროს ქ. №2) და ბათუმის იუსტიციის სახლში (მის.: ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. № 7) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

5. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;

6. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე